სხდომის ოქმი №-4

დ. მესტია

28.05. 2021წ

სხდომას ესწრებოდნენ საკრებულოს წევრები: მ. ჯაფარიძე, ზ. ჩართოლანი, შ. ცინდელიანი, ვ. ნაკანი, გ. გულბანი, ზ. ჯაფარიძე, ლ. ფალიანი, მ. სუბელიანი, ზ. დევდარიანი, თ. ფალიანი, ლ. კვიციანი, ვ. აფრასიძე, მ. დადვანი, ი. გირგვლიანი, ვ. ჭკადუა, ჯ. ფილფანი, კ. გუჯეჯიანი, ლ. ქალდანი, თ. დადეშქელიანი, ზ. ვიბლიანი, ს.ფირცხელიანი, რ. გვარმიანი.

სხდომას საპატიო მიზეზით არ ესწრებოდნენ: მ. ხორგუანი, ი. რატიანი, დ. ნავერიანი, ი. ჯაფარიძე, ი. რატიანი, ლ. პირველი, გ. გელოვანი, ა. რატიანი. ლ. წერედიანი,

სხდომას აგრეთვე ესწრებოდნენ მოწვეული სტუმრები: მესტიის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო სამსახურის უფროსი თ. ნავერიანი, მესტიის მუნიციპალიტეტის მერიის სოციალური სამსახურის უფროსი ს. ჩხვიმიანი, მესტიის მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკის, ქონების მართვის და ტურიზმის განვითარების სამსახურის, ეკონომიკისა და ტურიზმის განყოფილების უფროსი ლ. მჭედლიანი.

სხდომას თავმჯდომარეობდა მესტიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე მ. ჯაფარიძე.

სხდომის მდივანი: მესტიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საოქმო განყოფილების მთ. სპეციალისტი მზია ნიგურიანი.

სხდომის დაწყებამდე საკრებულოს წევრებმა გაიარეს რეგისტრაცია, რეგისტრაციის გავლის მიხედვით სხდომას ესწრებოდა საკრებულოს 31 წევრიდან 22 დეპუტატი.

თავმჯდომარემ საკრებულოს წევრებს მიესალმა და გააცნო დღის წესრიგი

დღის წესრიგი:

1. „მესტიის მუნიციპალიტეტის 2021 წლის ბიუჯეტიდან სოციალური დახმარების პროგრამების გაცემის წესის დამტკიცების შესახებ“ მესტიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2020 წლის 25 დეკემბრის **N-23** დადგენილებაში ცვლილებების შეტანის შესახებ“

/მომხსენებელი: თ. დევდარიანი. თანამომხსენებელი: შ. ცინდელიანი./

2 „მესტიის მუნიციპალიტეტის მერიის სოციალური დაცვის სამსახურის დებულების დამტკიცების შესახებ“ მესტიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2020 წლის 31აგვისტოს **N-13** დადგენილებაში ცვლილებების შეტანის შესახებ“

/მომხსენებელი: თ. დევდარიანი. თანამომხსენებელი: შ. ცინდელიანი./

3. „მესტიის მუნიციპალიტეტის სოციალურად დაუცველი და ეკონომიურად შეჭირვებული მოსახლეობის სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესებისა და ხელშეწყობის მიზნით 2021წლის მუნიციპალური პროგრამების დამტკიცების შესახებ“ მესტიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2020 წლის 27 დეკემბრის **N-49** განკარგულებაში ცვლილებების შეტანის შესახებ“

/მომხსენებელი: თ. დევდარიანი. თანამომხსენებელი: შ. ცინდელიანი./

4. „მესტიის მუნიციპალიტეტის მერიის ინფრასტრუქტურის, არქიტექტურისა და ურბანული განვითარების სამსახურის უფროსის ანგარიში 2020 წელს გაწეული მუშაობის შესახებ“

/მომხსენებელი: ლ. გულედანი. თანამომხსენებელი: ლ. ფილფანი./

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა საკრებულოს წევრებს ეყაროს კენჭი „მესტიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 28 მაისის სხდომის დღის წესრიგის დამტკიცების შესახებ“. წარმოდგენილი რედაქციით.

მომხრე----------22

წინააღმდეგი------0

თავი შეიკავა-------0

კენჭისყრის შედეგად საკრებულოს წევრებმა მხარი დაუჭირეს ერთხმად.

საკრებულომ დაადგინა: მიიღონ განკარგულება „მესტიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 28 მაისის სხდომის დღის წესრიგის დამტკიცების შესახებ“.

განკარგულება მიღებულ იქნა
(განკარგულება №13 თან ერთვის)

მოისმინეს: დღის წესრიგით გათვალისწინებული პირველ საკითხზე მოხსენება გააკეთა თ. დევდარიანმა „მესტიის მუნიციპალიტეტის 2021 წლის ბიუჯეტიდან სოციალური დახმარების პროგრამების გაცემის წესის დამტკიცების შესახებ“ მესტიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2020 წლის 25 დეკემბრის **N-23** დადგენილებაში ცვლილებების შეტანის შესახებ“

მომხსენებელმა დამსწრე საზოგადოებას გააცნო დადგენილებაში შემავალი ცვლილებები, ცვლილება შეეხო ონკოლოგიური ავადმყოფების და ფსიქიკურად დაავადებული პირების ერთჯერადი დახმარების პროგრამას, ონკოლოგიური ავადმყოფების მკურნალობის პროცესში როდესაც სცილდება ჯანდაცვის სახელმწიფო დაფინანსების ლიმიტს სოციალური დახმარების განაწილების საბჭო იღებს გადაწყვეტილებას მკურნალობის პროცესში განმეორებით ეტაპობრივად დაფინანსების თაობაზე არაუმეტეს 1000 ლარის ოდენობით.

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა საკრებულოს წევრებს განიხილონ აღნიშნული საკითხი და გამოთქვან მათი

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა საკრებულოს წევრებს კენჭი ეყაროს წარმოდგენილ წინადადებას.

მომხრე ----------22

წინააღმდეგი -----

თავი შეიკავა ----

კენჭისყრის შედეგად დაადგინეს: მიღებული იქნას დადგენილება, „მესტიის მუნიციპალიტეტის 2021 წლის ბიუჯეტიდან სოციალური დახმარების პროგრამების გაცემის წესის დამტკიცების შესახებ“ მესტიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2020 წლის 25 დეკემბრის **N-23** დადგენილებაში ცვლილებების შეტანის შესახებ“

დადგენილება მიღებულ იქნა
(დადგენილება №10 თან ერთვის)

მოისმინეს: დღის წესრიგით გათვალისწინებული მეორე საკითხზე მოხსენება გააკეთა თ. დევდარიანმა „მესტიის მუნიციპალიტეტის მერიის სოციალური დაცვის სამსახურის დებულების დამტკიცების შესახებ“ მესტიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2020 წლის 31აგვისტოს N-13 დადგენილებაში ცვლილებების შეტანის შესახებ“

მომხსენებელმა ისაუბრა ცვლილებებზე, დადგენილების მე-6 მუხლს დაემატა ,,ს'', და ,,რ'' პუნქტები, ,,სოციალური მუშაობის შესახებ'' საქართველოს კანონის 56-ე მუხლით და საქართველოს ორგანული კანონი ,,ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსით“ დადგენილი დელეგირებული და მუნიციპალიტეტის სამართლებრივი აქტებით განსაზღვრული სხვა უფლებამოსილების განხორციელება.

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა საკრებულოს წევრებს განიხილონ აღნიშნული საკითხი და გამოთქვან მათი მოსაზრებები.

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა საკრებულოს წევრებს კენჭი ეყაროს წარმოდგენილ წინადადებას.

მომხრე ----------22

წინააღმდეგი -----

თავი შეიკავა ----

კენჭისყრის შედეგად დაადგინეს: მიღებული იქნას დადგენილება, „მესტიის მუნიციპალიტეტის მერიის სოციალური დაცვის სამსახურის დებულების დამტკიცების შესახებ“ მესტიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2020 წლის 31აგვისტოს N-13 დადგენილებაში ცვლილებების შეტანის შესახებ“

დადგენილება მიღებულ იქნა

(დადგენილება №11 თან ერთვის)

მოისმინეს: დღის წესრიგით გათვალისწინებული მესამე საკითხზე მოხსენება გააკეთა თ. დევდარიანმა „მესტიის მუნიციპალიტეტის სოციალურად დაუცველი და ეკონომიურად შეჭირვებული მოსახლეობის სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესებისა და ხელშეწყობის მიზნით 2021წლის მუნიციპალური პროგრამების დამტკიცების შესახებ“ მესტიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2020 წლის 27 დეკემბრის N-49 განკარგულებაში ცვლილებების შეტანის შესახებ“

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა საკრებულოს წევრებს განიხილონ აღნიშნული საკითხი და გამოთქვან მათი მოსაზრებები.

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა საკრებულოს წევრებს კენჭი ეყაროს წარმოდგენილ წინადადებას.

მომხრე ----------22

წინააღმდეგი -----

თავი შეიკავა ----ზ. დევდარიანმა

კენჭისყრის შედეგად დაადგინეს: მიღებული იქნას, „მესტიის მუნიციპალიტეტის სოციალურად დაუცველი და ეკონომიურად შეჭირვებული მოსახლეობის სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესებისა და ხელშეწყობის მიზნით 2021წლის მუნიციპალური პროგრამების დამტკიცების შესახებ“ მესტიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2020 წლის 27 დეკემბრის N-49 განკარგულებაში ცვლილებების შეტანის შესახებ“

მიღებული იქნა განკარგულება:

(განკარგულება №-15 თან ერთვის)

მოისმინეს: დღის წესრიგით გათვალისწინებული მეოთხე საკითხზე მოხსენება გააკეთა ლ. გულედანმა ,,მესტიის მუნიციპალიტეტის მერიის ინფრასტრუქტურის, არქიტექტურისა და ურბანული განვითარების სამსახურის უფროსის ანგარიში 2020 წელს გაწეული მუშაობის შესახებ“

მომხსენებელმა ისაუბრა სამსახურის ფუნქციებზე და ვალდებულებებზე, მონაწილეობს მუნიციპალიტეტის ტერიტორიების განაშენიანების რეგულირების, ინფრასტრუქტურის განვითარების, სივრცითი მოწყობის, ზონირებისა და მშენებლობის კოორდინაციის კუთხით გაწეულ საქმიანობაში, რომელიც ერთერთ პრიორიტეტად არის მიჩნეული, 2020წელს მესტიის მუნიციპალიტეტში ინფრასტრუქტურის განვითარების კუთხით დაგეგმილი პროექტების დასაფინანსებლად გამოყოფილი იქნა 12.192.033ლარი, ადგილობრივი ბიუჯეტიდან დაიხარჯა 3.106.536ლარი და სოფლის მხარდაჭერის პროგრამით დაფინანსდა 1.815.768ლარის სამუშაოები, მუნიციპალიტეტის ბიუჯეტში წლის განმავლობაში მოსაკრებლის სახით შემოვიდა 132.464.45ლარი, ისაუბრა მიღებულ წერილებზე და განცხადებებზე, სამსახურს მიღებული აქვს 555 კორესპოდენცია, მიღებულ დავალებათაგან შესრულებულია 94%-ი. კორონავირუსის გავრცელებისა და მსოფლიო პანდემიის შედეგად საამშენებლო კომპანიებს გარკვეული პრობლემები შეექმნათ და ხელი შეეშალათ პროექტების წარმატებით განხორციელების საქმეში. დამსწრე საზოგადოებას ცხრილის სახით გააცნო ინფრასტრუქტურული პროექტების კატეგორიები და პროექტების დაფინანსება.

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა საკრებულოს წევრებს განიხილონ აღნიშნული საკითხი და გამოთქვან მათი მოსაზრებები.

აზრი გამოთქვა:ზ. ჩართოლანმა-- არქიტექტურული პროექტები კვალიფიციური უნდა იყოს რომ შედეგიც შესაბამისი გვქონდეს, დღემდე ეს პრობლემა მოუგვარებელია. ნახევარი წელია გასული და მიმდინარე წლის პროექტები ჯერაც არაა დაწყებული. სამსახურის ანგარიში უნდა წარდეგინილი იყოს პოვერპონტის ფორმით.

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა საკრებულოს წევრებს კენჭი ეყაროს წარმოდგენილ წინადადებას.

მომხრე ----------22

წინააღმდეგი -----

თავი შეიკავა ----

კენჭისყრის შედეგად დაადგინეს: მიღებული იქნას განკარგულება ,,მესტიის მუნიციპალიტეტის მერიის ინფრასტრუქტურის, არქიტექტურისა და ურბანული განვითარების სამსახურის უფროსის ანგარიში 2020 წელს გაწეული მუშაობის შესახებ“

მიღებული იქნა განკარგულება:
(განკარგულება №-14 თან ერთვის)

სხდომის დღის წესრიგით გათვალისწინებული ყველა საკითხი განხილული იქნა.
სხდომა გამოცხადდა დახურულად.

მაიზერ ჯაფარიძე

მესტიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

თავმჯდომარე